კიდევ 4 გოლი

თბილისი. "ლოკომოტივის" სტადიონი 12 თებერვალი.

"დინამო"(თბილისი)–"ოლიმპია (ქ. ლიუბლიანა, იუგოსლავია) 4:0 (1:0).

"დინამო": გაბელია (გოგია), ხიზანიშვილი, მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, გუცაევი, ყიფიანი (წერეთელი), ჩელებაძე (ძებისაშვილი).

"ოლიმპია": დალანოვიჩი, ბრაცანოვიჩი, ხაზაბენტი (*კარიჟი), კლმპფერი, ფოგანჯიჩი, სამატოვიჩი კომლინოვიჩი (ამერშეკი), იოვიჩევიჩი, კოჟელი, გრუბორი, როვიჩი.

მსაჯი გ. ბაქანიძე (თბილისი).

თბილისელებს მეორე საწვრთნელ მატჩში "ოლიმპიასთან" აკლდათ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, მათ შორის, დარასელია და შენგელია, რომლებიც სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდში არიან მიწვეული, მაგრამ ამას თითქოს არავითარი გავლენა არ მოუხდენია თამაშზე. ისევე როგორც წინა შეხვედრამ, დინამოელებს სრული ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ და ანგარიშიც თითქმის ისეთივე გამოდგა.

პირველი გოლი იუგოსლავიელთა კარში გავიდა 34–ე წუთზე, როცა დალანოვიჩმა დააგვიანა რეაგირება გუცაევის დარტყმაზე და გაუშვა საკმაოდ იოლი ბურთი. შესვენების შემდეგ "ოლიმპიის" თავდამსხმელებს კოჟელს და როჟიჩს შეეძლოთ გამოეყენებინათ ორი სახიფათო მომენტი, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ გამოიჩინა საჭირო სიზუსტე, სამაგიეროდ, მ. მაჩაიძემ გ. მაჩაიძემ და კოპალეიშვილმა ზუსტად ითამაშეს გადამწყვეტ სიტუაციებში და ანგარიში აიყვანეს 4:0–მდე.

* * *

თბილისის ”დინამოს" ფეხბურთელები გუშინ ლესელიძეში გაემგზავრნენ წვრთნის გასაგრძელებლად. აქ ისინი საგაზაფხულო ტურნირის მატჩებში მიიღებენ მონაწილეობას, 15 მარტისათვის კი თბილისში განზრახულია მოეწყოს დინამოელთა საწვრთნელი შეხვედრა სსრ კავშირის ნაკრებთან.

”ლელო” 18 თებერვალი 1977 წ.